

ქცევის ნორმებთან დაკავშირებული აკრძალვები ქართულ მონასტრებში

ნინო გოგობია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ჭყოიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს ბატონ გიორგი გვალას
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრანტის ნინო გოგობიას

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მითითებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო გოგობია

2019

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში „ქცევის ნორმებთან დაკავშირებული აკრძალვები ქართულ მონასტრებში“ განხილულია ბერების ყოველდღიური ცხოვრება, კერძოდ მიმოხილულია ბერების ქცევასთან დაკავშირებული აკრძალვები.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული გვაქვს, როგორც ისტორიული წყაროები, ასევე სამეცნიერეო ლიტერატურა, რომელიც ეხება მონასტერში ბერების ყოველდღიურ ცხოვრებას.

ნაშრომში შესწავლილია X-XIII საუკუნეების, ჰაგიოგრაფიულ ძეგლებზე და სამონასტრო ტიპიკონებზე დაყრდნობით ქართულ მონასტრებში (როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ) ბერების ყოველდღიური ცხოვრება, ბერების ქცევასთან დაკავშირებული აკრძალვები, სასჯელთა სახეობები, რომლებიც თან ახლდა დადგენილი წესების დარღვევას.

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და შედარებითი მეთოდით. ქართული მონასტრების ტიპიკონს და ბერმონაზვნობას შევადარებთ ბიზანტიურ მონასტერთან, კერძოდ სტუდიელთა მონასტრის ტიპიკონთან.

მიგვაჩინია, რომ ნაშრომში ასახული ინფორმაცია საინტერესო იქნება ეკლესიის ისტორიის მკვლევართათვის, ბერების ყოველდღიური ცხოვრებით დაინტერესებული პირებისთვის. ასევე საინტერესო იქნება შუა საუკუნეებში არსებული ბერმონაზვნური ცხოვრებისა და სეკულარულ სახელმწიფოში არსებული სამონასტრო ცხოვრების შედარებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამონასტრო აკრძალვები, ბერმონაზვნობა, სამონასტრო სასჯელები, ტიპიკონები, ბერმონაზვნობა ქართულ მონასტრებში.

Abstract

In the master's work "Prohibitions on Behavior Norms in Georgian Monasteries" thesis deals with the everyday life of the monks, particularly, it reviews the prohibitions related to the behavior of monks.

In the master's work there is used as historical sources, as well as scientific literature, which deals with the daily life of monks.

In the work, based on the hagiographical monuments of X-XIII centuries and monastery typicon (Both in Georgia and abroad) there is shown the daily life of the monks, the prohibitions related to the behavior of monks, types of sentencing accompanied by the established rules.

The master's thesis is done with historical-methodology and comparative method. We compare Georgian Monastery typicon and Monasticism with Byzantine monastery, particularly with the typicon of the Monastery of Studio.

We believe that the information outlined in the study will be interesting for the researchers of the history of the Church, for individuals interested in daily life of monks. It will also be interested for comparison with monastic life in a secular state in the middle ages.

Key words: Monastic Prohibitions, Monasticism, Monastic punishments, typicons, Monasticism in Georgian Monasteries.